



საქართველოს ეროვნული მუზეუმი
GEORGIAN NATIONAL MUSEUM



ნოკალაქვის საერთაშორისო არქეოლოგიური
ექსპედიცია

2009

NOKALAKEVI'S ARCHAEOLOGICAL EXPEDITION

თბილისი - Tbilisi
2010

დ.ლომიტაშვილი, ზ.თვალჭრელიძე, ნ.ქებულაძე, მ.ბოკერია, ნ.მურგულია,
ე.ყვავაძე, მ.ზამთარაძე, თ.კაპანაძე, ჯ.ტიმბი, ი.ქოლვინი, პ.ევერილი,
ბ.ნილი, ქ.გრანტი, კ.რასელი, პ.მარტერი

D.Lomitashvili, Z.Tvalchrelidze, N.Kebuladze, M.Bokeria, N.Murgulia,
E.Kvavadze, M.Zamtaradze, T.Kapanadze, J.Timby, I.Colvin, P.Everill, B.Neil,
K.Grant, Chr.Russel, P.Marter



ნოქალაქევის საერთაშორისო არქეოლოგიური
ექსპედიციის 2009 წლის ანგარიში

**The report of the International
Archaeological Expedition to Nokalakevi
2009**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
Georgian National Museum

შენიშვნა - CONTENT:

1. შესავალი (ქართ.)
Preface (geo.)
2. A თხრილზე წარმოებული სამუშაოების ანგარიში (ქართ.)
The report of the field work on the Trench A (geo.)
3. B თხრილზე წარმოებული სამუშაოების ანგარიში (ქართ.)
The report of the field work on the Trench B (geo.)
3. A და B თხრილზე გამოვლენილი მასალის მიმოხილვა (ქართ.)
The review of the obtained material (geo.)
4. ნოქალაქევის სარესტავრაციო-საკონსერვაციო ლაბორატორიაში 2009 წლის ზაფხულში მიმდინარე პროექტები (ქართ.)
Projects those were run in 2009 in the restoration-conservation laboratory at Nokalakevi (geo.)
5. ნოქალაქევის ექსპედიციის 2009 წლის პალეობოტანიკური კვლევის ანგარიში (ქართ.)
The report of the paleobotanic research in 2009 (geo)
6. ნოქალაქევის ექსპედიციის (2009 წლის ივლისი) მასალის პალინოლოგიური შესწავლის წინასწარული შედეგები
Interim report of the palinological research in July 2009 (geo)
7. 2009 წლის სეზონზე ჩატარებული ტრენინგების მიმოხილვა
The review of the trainings in 2009s season
8. 2009 წლის გათხრების წინასწარული ანგარიში (ინგლ.)
Interim report on excavations in July 2009 (eng)
9. 2009 წლის სეზონზე აღმოჩენილი კერამიკის წინასწარული ანგარიში (ინგლ.)
Interim report on the pottery from the 2009 season (eng.)
10. ინგლისის ელჩი იწონებს უნივერსიტეტის ჩართვას ქართულ გათხრებში (ინგლ.)
British Ambassador praises University's involvement in Georgian excavations (eng)
11. ტაბულები
Graphics
12. კონსერვაცია-რესტავრაციის ბარათები (ქართ.)
Conservation-restoration report sheets (geo.)

შესავალი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნოქალაქევის ერთობლივმა ქართულ-ინგლისურმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ*, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოქალაქევის ნაქალაქარზე არქეოლოგიური გათხრითი სამუშაოები 2009 წლის 2 ივლისიდან 30 ივლისამდე აწარმოა. 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომმა თავისი უარყოფითი გავლენა ექსპედიციის ბრიტანული მხარის რაოდენობაზე მკვეთრად უარყოფითად ასახა.

ქართულ-ინგლისური პროექტი 2 ივლისს დაიწყო და 30 ივლისამდე ნაქალაქარის ქვედა ტერასის აღმოსავლეთ სექტორში, „A“ თხრილზე (უბ. XXX კვ.F-2) ელინისტური ეპოქის კულტურული ფენებისა და სამაროვნის ერთი მონაკვეთის, მეორეს მხრივ კი, ცენტრალურ სექტორში “B” თხრილის სამაროვნის ნაწილის შესწავლით შემოიფარგლა.

2009 წელს განვითარებული არქეოლოგიური გათხრების ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად კვლავ საგანმანათლებლო-სატრენინგო პროგრამა რჩებოდა ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის. ჯგუფებად დაყოფილი საერთო რაოდენობა სტუდენტებისა მორიგეობით მეცადინეობებს გადიოდნენ საველე არქეოლოგიაში, პრევენციულ კონსერვაციაში, არქეობოტანიკაში (ფლოტაციის მეთოდით მუშაობა), რესტავრაცია-კონსერვაციაში, საქართველოს ისტორიაში, წყაროების მიხედვით ვერისის ისტორიასა და თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნაში (GPS-გამოყენება). ყველა ეს მიმართულება მყარ კოორდინაციას ეყრდნობოდა.

ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ განხორციელებული სამუშაოების სხვადასხვა ეტაპები 2009 წწ. ანგარიშები სამი სხვადასხვა მოხსენების სახით იქნა საპრეზენტაციოდ წარმოდგენილი.

საანგარიშო პერიოდში ექსპედიციის მიერ, ნოქალაქევის მუზეუმის ბაზაზე ორგანიზებული იქნა, ინგლისური ენის შემსწავლელი, უფასო საზაფხულო სკოლის ფუნქციონირება ქ. სენაკის საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის.

* ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ პროფ. დ.ლომიტაშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), დოქტ. ბ.ლორთქიფანიძე (ექსპედიციის ხელ-ის მოადგილე), დოქტ. ნ.ქებულაძე (ქიმიკოს-რესტავრატორი), დოქტ. ზ.თვალჭრელიძე (არქეოლოგი), ნ.მურდულია (რაზმის უფროსი), დოქტ. მ.ბოკერია (არქეობოტანიკოსი), დოქტ. ე.ყვავაძე (პალინოლოგიურ კვლევები), ნ.ძიგუა (ასისტენტი), მ.ზამთარაძე და დოქტ. თ.კაპანაძე- კამერალური სამუშაოები, ი.ქოლვინი (ოქსფორდის უნივერსიტეტი), ბ.ნილი (საუტკუმპტონის უნივერსიტეტი), დოქტ. პ.ვეერილი (ბრედფორდის უნივერსიტეტი), დოქტ. ჯ.ტიმბი (არქეოლოგი), ქ.გრანტი და კ.რასსელი (სუპერვაიზერები), სტუდენტები თბილისის სახელმწიფო და ბრიტანეთის უნივერსიტეტებიდან.

A თხრილზე წარმოებული სამუშაოების ანგარიში

2009 წლის სეზონზე ექსპედიციის ერთმა ჯგუფმა სამუშაოები A თხრილზე 29 ივნისიდან 30 ივლისამდე აწარმოა. სამუშაოების პირველი 5 დღე A და B თხრილების მცენარეული საფარისგან და დამცავი ცელოფნისგან გათავისუფლებას დაევთმეთ. 6 ივლისიდან კი A თხრილის არქეოლოგიური გათხრები განახლდა.

ისევე, როგორც წინა წლებში 2009 წლის სეზონზეც არქეოლოგიური



კვლევა-ძიების პარალელურად ექსპედიციის ფარგლებში გაგრძელდა ქართველი და ბრიტანელი არქეოლოგიის სპეციალობის სტუდენტების ტრენინგები სავსელე არქეოლოგიაში. ამ სეზონზე სატრენინგო კურსი გაიარა

A თხრილი გათხრების დაწყებისას

რვა ქართველმა და ოთხმა ბრიტანელმა

სტუდენტმა. A თხრილზე წარმოებულ არქეოლოგიურ და სატრენინგო სამუშაოებს ხელმძღვანელობას უწევდნენ ქ. გრანტი და ნ. მურდულია.

A თხრილის ხელახლა გახსნის და პირველადი, ზედაპირული პრეპარაციის შემდეგ დავიწეთ წინა წლებში გამოვლენილი ელინისტური ხანის ნაგებობების იმ ნაშთების აღაგება, რომლებიც მათი თანადროული კულტურული ფენების

(217), (231), (235) პრეპარაციის შედეგად,



მათ დონესთან შედარებით უფრო ზედა ჰორიზონტზე აღმოჩნდნენ. წინა წლებში

ეს ნაშთები სრულად იქნა ფიქსირებული როგორც დოკუმენტალურად, ისე ფოტო და გრაფიკული მასალებით.

შესაბამისად. მათი აღება სეზონის პირველ ეტაპზე ყოველ მხრივ გამართლებული იყო. საბოლოო ჯამში

ავიღეთ (187), (212), (244) და (245) კედლის

A თხრილი, ელინისტური ნაგებობების ნაშთების აღაგების შემდეგ

ნაშთები და ასევე თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ბრტყლად დალაგებული დიდი ზომის (1X2 მ) კედლის ფლეთილი ლოდები. ამ ნაშთების

ქვების თხრილიდან ალაგება საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმე აღმოჩნდა და ერთი სამუშაო დღე გაგრძელდა.

ქვების ალაგების შემდეგ გადაწყდა თხრილის ჩრდილო მონაკვეთის დონის გათანაბრება სამხრეთ ნახევართან, რადგანაც ნაქალაქარის ამ მონაკვეთზე არსებული რელიეფის და თხრილში გამოვლენილი ნაგებობების შესწავლის გამო თხრილიდან დაქანებული იყო სამხრეთისაკენ. ამ სამუშაოს შესრულება გულსხმობდა თხრილის ჩრდილო ნახევარში წინა წელს გამოვლენილი (217)-ე და (235)-ე ელინისტურის ხანის კულტურული ფენების სრულ პრეპარირებას. რასაც, გამომდინარე იქედან, რომ ამ ფენებში სამი სამარხი აღმოჩნდა, სეზონის დარჩენილი დღეები დაგეგმილი.

იმავ (235)-ე ფენაში მდებარეობს 2008 წლის სეზონზე გამოვლენილი კიდევ ერთი ნაგებობის ნაშთი (242), რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ იყო გაწმენდილი.



საანგარიშო წელს ამ ნაგებობის ნაშთის სრული გაწმენდა მოხერხდა. ის წარმოადგენს ნაგებობის კუთხის ნაწილს, რომელიც (245)-ე კედლის დასავლეთ გაყოლებაზე სამიოდე მეტრში იწყება, 1.50 მ-ის გავლის შემდეგ 90 გრადუსით უხვევს ჩრდილოეთისკენ და

(242)-ე ნაგებობის ნაშთი, ხელი აღმოჩნდა კიდევ 2.60 მ-ზე გრძელდება თხრილის ჩრდილო კიდემდე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კედლის ეს მონაკვეთი არ გადის თხრილის გარეთ. ის თხრილის კიდემდე 40 სმ-ში წყდება, წრიულად უხვევს აღმოსავლეთისკენ და იკარგება. ამ კედლის პრეპარაციის შედეგად აღმოჩნდა, რომ ის “ორ რიგად” იყო დაწყობილი, განსხვავებით სხვა ნაგებობისგან, რომლებიც მხოლოდ თითო-თითო რიგებით იყო წარმოდგენილი. თუმცა (242)-ე კედლის შემთხვევაშიც რიგებს შორის რაიმე სახის ბმა (თუნდაც ქვების ფორმების მორგება) არ დაგვიფიქსირებია. ასევე საინტერესოა, რომ კედლის დას-აღმ ხაზზე ზედა რიგს ქმნიდა მოზრდილი (40X60 სმ) ქვები, ხოლო მათი ადების შემდეგ გამოჩნდა შედარებით მომცრო ზომის (10X20 სმ) ქვებით შექმნილი კიდევ ერთი რიგი. საპირისპირო სურათია იმავ კედლის სამხრეთ-ჩრდილოეთის დამხრობის ხაზზე, სადაც კედლის ზედა რიგს მომცრო ქვები ქმნიდა, ხოლო მათ ქვემოთ დალაგებული იყო დიდი ზომის (30X50 სმ) კედლის ფლეთილი ქვები. კედლის შიდა კუთხის გაწმენდვისას გამოჩნდა ერთად

ჩაყრილი საშუალო ზომის (15-20 სმ) ქვების გროვა, რომლებიც სავარაუდოდ ნაგებობის ამ ნაწილის დანგრევის შედეგად წარმოიქმნა. აქვე აღმოჩნდა დანახშირებული ხის მცირე ფრაგმენტები, რაც გვაფიქრებინებს, რომ ნაგებობა ხანძრის შედეგად განადგურდა.


ასევე საანგარიშო წელს გაგრძელდა 2008 წლის სეზონზე გამოვლენილი (232)-ე ნაყარი ქვის გროვის პრეპარაცია თხრილის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში.



(232)-ე ქვების გროვა და (243)-ე ნაგებობის ნაშთი, ხედი დას-იდან

ქვების გროვა, რომელიც ელინისტური ხანის ნაგებობების თანადროულია და ჩვენი აზრით რამოდენიმე ადგილას მოსწორებულ სამშენებლო ნარჩენებს წარმოადგენს სამკაოდ სქელ ფენას ქმნის – წინა სეზონზე გაწმენდილი ქვების აყრის შემდეგ აღმოჩნდა რომ ეს ფენა სიღრმეში გრძელდება კიდევ 20 სმ-ზე და შესაძლოა უფრო ღრმადაც,

რასაც მომავალ სეზონზე ნაყარი ქვების გროვის სრული პრეპარაციის შემდეგ შევიტყობთ. ამ ფენაში დიდი რაოდენობით ამოდის ელინისტური და ნაწილობრივ ადრე ანტიკური ხანის კერამიკული ჭურჭლის ნატყეხები, ამ ფენაშივე აღმოჩნდა მომცრო ზომის სპილენძის ფირფიტის ფრაგმენტი [18]* და კაუის ისრისპირი [20]. (232)-ე ქვების გროვას აღმოსავლეთიდან ებჯინება კიდევ ერთი ელინისტური ხანის კედლის ნაშთი, თუმცა ის თხრილის დასავლეთ მონაკვეთში, სხვა ნაგებობების ნაშთებისგან განცალკევებით მდებარეობს და წარმოდგენილი მხოლოდ ერთი ჩრდილო-სამხრეთ დამხრობის 2.75 მ სიგრძის



(217)-ე და (235)-ე კულტურული ფენების მდებარეობა A თხრილში, ხედი აღმ-დან

ხაზით. სხვა ნაშთებისგან განსხვავებით ამ კედლის წყობაში კედლის ფლეთილ ქვასთან ერთად გვხვდება ერთი ცალი რიყის ქვაც.

როგორც უკვე აღინიშნა, (217)-ე და (235)-ე ელინისტური ხანის კულტურული ფენების პრეპარირება მთელი სეზონის განმავლობაში მიმდინარეობდა. 2008 წლის სეზონის მსგავსად საანგარიშო წელსაც ორივე

* მცირე მონაპოვრის ნომერი

ფენაში ამოსული არქეოლოგიური მასალა (კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები – ქოთნები, დოქები, დერგები და სხვ; ლითონის ნაწარმი – ბრინჯაოს ნივთების ფრაგმენტები) ძირითადად ელინისტურ ხანას განეკუთვნება (იხ. ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური ექსპედიციის 2008 წლის ანგარიში). თუმცა საინტერესოა, რომ ამ ფენებში ეტაპობრივად ვლინდება ადრე ანტიკური ხანის კერამიკის ნაშთებიც – უმეტესად VI-IV სს-ისთვის დამახასიათებელი სასმისების ძირები,



შავად გამომწვარი ჭურჭლის ფრაგმენტი ორნამენტებით (235)

ყურმილიანი კერამიკის ფრაგმენტები. განსაკუთრებით საინტერესოა ერთი შავად გამომწვარი ჭურჭლის, სავარაუდოდ დერგის ნატეხი, რომელიც ადრე ანტიკურ ხანას უნდა განეკუთვნებოდეს. ამ კერამიკული ჭურჭლის ნატეხს გვერდზე გასდევს წრიული ფორმის ორნამენტი. ასევე ვერტიკალურად გამოყვანილი აქვს კანელურები და რაც ყველაზე საინტერესოა, წრიული ორნამენტის

თავზე ჭურჭლის შემორჩენილ ნაწილზე შეიმჩნევა ამოღარვით შესრულებული რომელიღაც ჩლიქოსანი ცხოველის ფეხები, რომელიც საკმაოდ მაღალ მხატვრულ დონეზეა შესრულებული. სამწუხაროდ ამ ჭურჭლის სხვა ფრაგმენტები არ გამოვლენილა და ამიტომ დამატებით რაიმეს თქმა ჭირს.

A თხრილზე წინა წლების მსგავსად მიმდინარე სეზონზეც გამოვლინდა ელინისტური ხანის სამარხები, თუმცა მათი რაოდენობა სიღრმეში ჩასვლასთან ერთად კლებულობს. 2007 წელს A თხრილზე გამოვლინდა ელინისტური ხანის შვიდი სამარხი, 2008 წელს – ოთხი, ხოლო მიმდინარე სეზონზე მხოლოდ სამი, რაც გამოწვეულია იმით, რომ თანდათანობით ხდება ელინისტური ხანის კულტურული ფენების გავლა და შესაბამისად ამ პერიოდის სამარხების ინტენსივობაც კლებულობს, პარალელურად კი მატულობს ადრე ანტიკური ხანის კერამიკული ნაწარმის რაოდენობა.

2009 წლის სეზონზე გამოვლენილი სამივე სამარხი განეკუთვნება ელინისტური ხანის ორმოსამარხის ტიპს, თუმცა მათ შორის ტიპოლოგიური სხვაობები მაინც არსებობს.

0901 სამარხი თხრილის ცენტრალურ მონაკვეთში (187)-ე ნაგებობის დას-აღმ დამხრობის კედლის ჩრდილოეთ კიდეგან გამოვლინდა. როგორც ჩანს, სამარხი



0901 სამარხი (260), (261), [262]

უბრალოდ იყო გაჭრილი მიწაში, ქვებით შემოსაზღვრის გარეშე. მხოლოდ სამხრეთის მხრიდან ებჯინებოდა მას (187)-ე ნაგებობის კედელი. მიცვალებული (261) სამარხში დას-აღმ მიმართულებით ესვენა, მარჯვენა გვერდზე, სუსტად მოხრილ მდგომარეობაში, თავით

აღმოსავლეთისკენ და სახით

ჩრდილოეთისკენ. სამარხი ეკუთვნოდა სავარაუდოდ ზრდასრულ მამაკაცს. ჩონჩხის სიგრძე 1.70 მ-ს აღწევდა. მიცვალებულს სამარხში ჩატანებული ჰქონდა შემდეგი ინვენტარი: 1. ორი ცალი ბრინჯაოს სამაჯური [6] მარცხენა მაჯაზე; ერთი ბრინჯაოს სამაჯური [10] მარჯვენა მაჯაზე; 2. ლურჯი და ოქროსფრად დაფერილი პასტის მძივები [7] მიცვალებულის კისრის არედან აღებული მიწიდან, - ნაყარიდან (260).



0901 სამარხის ინვენტარი (260)

3. ბრინჯაოს საყურე რგოლი [15] მიცვალებულის კისრის არედან აღებული მიწიდან, - ნაყარიდან (260); 4. რუხი შეფერილობის დოქი [14] მიცვალებულის ფეხებთან, სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში.



ფრინველის ჩონჩხი (263)

სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან აღმოჩნდა ფრინველის (სავარაუდოდ ქათმის) ჩონჩხი (263), რომელიც თითქმის სრულად იყო შემორჩენილი. იმის გამო, რომ სამარხის ჭრილის [262] კონტურის დადგენა ვერ მოხერხდა, დაზუსტებით ვერ ვიტყვით ეკუთვნოდა თუ არა ფრინველის ჩონჩხის ნაშთები სამარხს. თუკი ეკუთვნოდა, მაშინ საფიქრებელია, რომ ის

მიცვალებულს ჩააყოლეს.

0901 სამარხიდან პალეობოტანიკური (ნაყარიდან) და პალინოლოგიური (ჩონჩხის სხვადასხვა ნაწილებიდან და ინვენტარიდან) ანალიზებისთვის აღებული იქნა 23 სინჯი (№№ 1-6, 11, 13, 18, 20-23, 26-33, 38).*

0902 სამარხი 0901 სამარხის ჩრდილოეთით 1.5 მეტრში გამოვლინდა.



0902 სამარხი (254), (255), [256]

სამარხის ჭრილს [256] გარშემო შემოწყოილი ჰქონდა სხვადასხვა ზომის (10 სმ-დან 70 სმ-მდე) კლდის ფლეთილი ქვები. განსაკუთრებით კარგად იკვეთება შემოწყოილი ქვების სამხრეთ და ჩრდილოეთ ხაზები, სადაც მოზრდილი, წაგრძელებული ფორმის ქვები დაუწყვიათ. აღსანიშნავია, რომ ისევე, როგორც

0901 სამარხი, ესაც ელინისტური ხანის ერთ-ერთი კედლის (242) დას-აღმ დამხრობის ხაზის სამხრეთ კიდეზე, მის ძირშია მოწყობილი. A თხრილზე 2003 წლიდან მოყოლებული, ეს უკვე მეოთხე შემთხვევაა, როდესაც სამარხი ნაგებობის კიდეზეა მოწყობილი. სამარხში მიცვალებული ესვენა დას-აღმ მიმართულებით, მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისკენ და სახით სავარაუდოდ სამხრეთისკენ (თავის ქალა თავისი პირვანდელი ადგილიდან დაძრული და კისრის მალეებიდან 10 სმ-ით იყო დაშორებული. ქვედა ყბა კი მენჯის ძვალთან იდო.)



0902 სამარხის ინვენტარი (254)

სამარხი ეკუთვნოდა სავარაუდოდ ზრდასრულ ქალს. ჩონჩხის სიგრძე 1.50 მ-ს აღწევდა. 0901 სამარხის მსგავსად აქაც ამოვიდა სხვადასხვა სახის სამარხეული ინვენტარი. ჩონჩხის კისრის არესთან აღებულ მიწაში, - ნაყარში (254) აღმოჩნდა ლურჯი, შავი და წითელი შეფერილობის პასტის და ნახევრად

* ანალიზების შედეგები შეიგიძლიათ იხილოთ ექსპედიციის საერთო ანგარიშში (პალეობოტანიკურ და პალინოლოგიურ ანგარიშები).

ძვირფასი ქვებისგან დამზადებული მძივები [8]; მიცვალებულს თავთან ედორუხი შეფერილობის ქოთანის [9]; ორივე ხელზე ეკეთა ბრინჯაოს თითო-თითო სამაჯურები, ერთი – რკინის უნჯის კვალით [12] და ერთიც - წრიულად დაგრეხილი [13]; კიდევ ერთი სამაჯური აღმოჩნდა მიცვალებულის მენჯთან [11]; სამარხის ნაყარის გაცრის შემდეგ აღმოჩნდა 2 ცალი ბრინჯაოს საყურე რგოლი [16].

0902 სამარხიდან პალეობოტანიკური (ნაყარიდან) და პალინოლოგიური (ჩონჩხის სხვადასხვა ნაწილებიდან და ინვენტარიდან) ანალიზებისთვის აღებული იქნა 11 სინჯი (№№ 15-17, 24, 25, 34-37, 39, 47).

0904 სამარხი თხრილის ჩრდილო კიდეგან გამოვლინდა. (235) კულტურული ფენის პრეპარაციის დროს, (242)-ე ნაგებობის დასავლეთით



0904 სამარხი (264), (265), [266] გახსნამდე

ქვებით შემოწყობილი და გადახურული სამარხი უნდა ყოფილიყო. მისი ფოტოფიქსაციის და ჩახაზვის შემდეგ მოვახდინეთ ქვების “წყობის” შუაგულის პრეპარაცია. შემდეგ აღმოჩნდა ჩრდილო-სამხრეთ დამხრობის სამარხი, თუმცა სამწუხაროდ მხოლოდ ნაწილობრივ. ჩონჩხის (265) თითქმის ნახევარი - მკლავები, ნეკნები, ხერხემალი, თავის ქალა, თხრილის გარეთ გადიოდა და შესაბამისად ამ სამარხის სრულად შესწავლა ვერ მოხერხდა. თუმცა მისი ტიპოლოგიური მახასიათებლების

გამოიკვეთა ერთად დაწყობილი მცირე და საშუალო ზომის (5X10 სმ, 15X20 სმ) ქვების ერთგვარი “წყობა”, რომელიც მართკუთხა ფორმას ქმნიდა და თხრილის ჩრდილო კიდის გარეთ გადიოდა. ასევე მცირე ზომის ქვები ჩაყრილი იყო ამ მართკუთხა “წყობის” შუაგულში, რამაც

თავიდანვე გვაფიქრებინა, რომ ეს



0904 სამარხი (264), (265), [266]

განსაზღვრა უმეტეს წილად მაინც მოხერხდა. სამარხი ჩრდილო-სამხრეთ

დამხრობის იყო. მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოკრუნხულ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისკენ და სახით სავარაუდოდ აღმოსავლეთისკენ. სამარხის ჭრილის [266] კონტურს გარშემო შემოწობილი ჰქონდა რივის და კლდის ფლეთილი ქვები, თუმცა სამარხის აღმოსავლეთ კიდეზე, ჩონჩხის ნაწილი (მუხლის ძვალი) შემოწობილი ქვების ქვეშ აღმოჩნდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ სამარხის ქვებით შემოსაზღვრა მოხდა მიცვალებულის დაკრძალვის და მისი ცხედრის მიწით დაფარვის შემდეგ, მით უმეტეს, რომ ჩონჩხის 15-20 სმ-ით უფრო ქვემოთ მდებარეობს, ვიდრე შემოწობილი ქვები. ან შესაძლოა დროთა განმავლობაში ჩონჩხი დაიდრა და ის სამარხისთვის შემოწობილი ქვების ქვემოთ მოექცა. როგორც უკვე ითქვა, 0904 სამარხი მხოლოდ ნაწილობრივ გამოვლინა. სამარხის გაწმენდილ ნაწილში რაიმე სახის სამარხეული ინვენტარი არ გამოვლენილა. შესაძლოა მიცვალებულს ჩატანებული ჰქონოდა საყურეები, სამაჯურები ან მძივები, თუმცა მიცვალებულის ზედა კიდურები და თავის ქალა თხრილის გარეთ არის მოქცეული და შესაბამისად დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით. მიცვალებულის ქვედა კიდურების ზომების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამარხი ზრდასრულ ადამიანს ეკუთვნოდა.

0904 სამარხის ნაყარიდან (264) პალეობოტანიკური ანალიზებისთვის აღებული იქნა 2 სინჯი (№№ 43-44).

2009 წლის სეზონზე საველე სამუშაოების დასრულება 1 აგვისტოს



A თხრილი სეზონის ბოლოს, ნალექიანი ამინდების შემდეგ

იგეგმებოდა, ბოლო ოთხი დღის განმავლობაში უნდა ჩახაზულიყო 0904 სამარხი და მომხდარიყო მისი აღება. ასევე იგეგმებოდა თხრილის სეზონის ბოლო გენერალური ნახაზის გაკეთება. თუმცა 27-29 ივლისს დაფიქსირებული ნალექიანი ამინდების გამო მუშაობის შეწყვეტით და ვერც შემდგომ დღეებში გავაგრძელებთ თხრილის

დატბორვის გამო. შესაბამისად ვერც თხრილის ჩახაზვა და ვერც 0904 სამარხის გამოვლენილი ნაწილის ჩახაზვა და ამოღება მოხერხდა. სამარხს გადაეფარა



A თხრილი ცელოფანის საფარით დახურვის შემდეგ

დამცავი ცელოფანი და დაიფარა მიწით. მისი სრული დოკუმენტირება და თხრილიდან ამოღება მომავალ სეზონზე დასრულდება.

A თხრილის ცელოფანის საფარით დაფარვა ექსპედიციის დასრულებიდან რამოდენიმე დღეში წყლის ამოშრობის შემდეგ მოხერხდა.

2009 წელს A თხრილზე გამოვლენილი მცირე მონაპოვრების სია კოორდინატების და სიღრმეების დართვით:

მონაპოვრის №	კონტექსტი	აღწერილობა	კოორდინატები თხრილში	სიღრმე 0-დან
1	(259)	თიხის კვირისთავი	104.66 / 204.10	- 3.71 მ
2	(235)	ბრინჯაოს კალმისებური ნივთის ფრაგმენტი	103.10 / 207.35	- 3.75 მ
3	(235)	ბრინჯაოს ღეროს ფრაგმენტი	103.23 / 208.22	- 3.72 მ
4	(235)	ბრინჯაოს წვრილი ღერო	101.95 / 212.84	- 3.47 მ
5	(235)	კაჟის ნამგლის პირის ჩასართავი	100.78 / 211.50	- 3.55 მ
6	(260)	2 ც. ბრინჯაოს სამაჯური 0901 სამარხის ჩონჩხის (261) მარცხენა მაჯიდან	100.85 / 208.15	- 3.79 მ
7	(260)	პასტის მძივები 0901 სამარხიდან	100.60 / 207.80	- 3.83 მ
8	(254)	პასტის მძივები 0902 სამარხიდან	101.25 / 209.85	- 3.72 მ
9	(254)	რუხი შეფერილობის ქოთანის 0902 სამარხიდან	101.25 / 209.75	- 3.70 მ
10	(260)	ბრინჯაოს სამაჯური 0901 სამარხის ჩონჩხის (261) მარჯვენა მაჯიდან	100.40 / 208.20	- 3.78 მ
11	(254)	ბრინჯაოს სამაჯური 0902 სამარხის ჩონჩხის (255) მეწთან	101.65 / 209.90	- 3.75 მ
12	(254)	ბრინჯაოს სამაჯური რკინის ჟანგით 0902 სამარხიდან	101.07 / 209.75	- 3.70 მ
13	(254)	ბრინჯაოს გრეხილი სამაჯური 0902 სამარხიდან	101.15 / 209.75	- 3.70 მ
14	(260)	ღოქი 0901 სამარხიდან	99.80 / 208.25	- 3.81 მ
15	(260)	ბრინჯაოს საყურე რგოლი 0901 სამარხიდან	101.00 / 207.95	- 3.80 მ
16	(254)	ბრინჯაოს 2 ც. საყურე 0902 სამარხიდან	101.25 / 209.85	- 3.73 მ
17	(235)	კაჟის ნამგლის პირის ჩასართავი	101.75 / 210.00	- 3.61 მ
18	(232)	სპილენძის ფირფიტის ნაჭერი	97.45 / 211.55	- 3.59 მ
19	(235)	თიხის ბორბლის მოღეღი	101.90 / 211.75	- 3.59 მ
20	(232)	კაჟის ისრისპირი	96.00 / 212.65	- 3.63 მ
21	(217)	ქვის სამკაულის ფრაგმენტი	97.56 / 205.13	- 3.74 მ

B თხრილზე წარმოებული სამუშაოების ანგარიში

ქართულ-ინგლისური ექსპედიციის მიერ B თხრილზე სამუშაოები წარმოებდა 2002-2005 წლების სეზონზე სადაც გამოვლენილი იყო გვიან შუა საუკუნეების (XVI-XVIII სს) კედლის ნაშთი, ადრე შუა საუკუნეების (IV-VI სს) ქრისტიანული სამაროვანი (თხრილის სამხრეთ მონაკვეთზე, გამოვლენილი კედლის შიგნით) და ელინისტური ხანის ნაგებობის ნაშთი და კულტურული ფენა (თხრილის გაგრძელებულ, უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში)

საანგარიშო სეზონზე 4 წლიანი პაუზის შემდეგ კვლავ განახლდა



B თხრილი გათხრების დაწყებამდე, ხელი სამხრეთიდან

შესწავლა, რათა რაც შეიძლება მოკლე დროში მოხდეს თხრილის ამ მონაკვეთის მიწით ამოვსება და კედლის ბუნებრივად (მიწით) გამაგრება და კონსერვაცია.

B თხრილზე* სამუშაოები მხოლოდ 3 კვირის განმავლობაში (10.07.09-31.07.09)



B თხრილის სამხრეთ მონაკვეთი გათხრების დაწყებისას

გათხრები B თხრილზე. თუმცა მის მხოლოდ სამხრეთ მონაკვეთზე (დაახ 15 მ²), სადაც XVI-XVIII სს-ების კედელია გამოვლენილი და გამოძინარე იქედან, რომ ის ღიად არის დარჩენილი, არსებობდა მისი დაშლის საშიშროება. შესაბამისად 2008 წელს მოხდა მისი გამაგრება კირის ხსნარით და გადაწყდა კედლის შიგნით არსებული სივრცის არქეოლოგიურად ბოლომდე

მიმდინარეობდა. ნალექიანი ამიდების გამო გაცდა სრული სამი დღე და კიდევ ერთი სამუშაო დღის ნაწილი ერთხელ უკვე გაწმენდილი სამარხის ხელახლა გაწმენდვას დაეთმო.

2002-2005 წლების სეზონების მსგავსად B თხრილზე საანგარიშო წელსაც გამოვლინდა ქრისტიანული სამარხები, რომლებიც წინა წლებში

* აქ და ქვემოთ ფრაზაში “B თხრილი” იგულისხმება მხოლოდ მისი სამხრეთ, კედლის შიდა მონაკვეთი.

შესწავლილი ე.წ. “ეპიდემიური სამაროვნის” გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს. ამ სეზონზე სულ 6 ქრისტიანული (ყველა მათგანი დაკრძალულია დასაღმ მიმართულებით, თავით დასავლეთისაკენ, გულაღმა გაშობილ მდგომარეობაში, მიმდებარე ფენაც ადრე ქრისტიანულ (IV-VI სს) ხანას შეესაბამება) სამარხი გამოვლინდა, თუმცა მათგან ორი სამუშაოების ბოლო დღეებში აღმოჩნდა და შესაბამისად მათი გახსნა და შესწავლა მიმდინარე სეზონზე ვერ მოესწრო.

0903 სამარხი თხრილის აღმოსავლეთ კიდეგან გამოვლინდა.



0903 სამარხი – (394), (395), [396]

მიცვალებული (395) ესვენა დასავლეთ-აღმოსავლეთ მიმართულებით, თავით დასავლეთისაკენ, გულაღმა მდგომარეობაში. მიცვალებულს ხელები სავარაუდოდ მკერდზე ჰქონდა დაწყობილი (ხელების ძვლები არეულ მდგომარეობაში იყო). სამარხი ეკუთვნოდა სავარაუდოდ 12-15 წლის ბავშვს. სამარხის ჭრილს [396] სამხრეთის მხრიდან შემოუყვებოდა სამი

დიდი ზომის ქვა, ხოლო მიცვალებულის თავის ქალასთან, ნაყარში (394) აღმოჩნდა ორი ცალი კერამიკული ჭურჭლის ნატეხი. სამარხის ჭრილის ზომებია: სიგრძე – 95 სმ; სიგანე – 60 სმ. პალეობოტანიკური და პალინოლოგიური ანალიზებისთვის 0903 სამარხიდან აღებული იქნა 4 სინჯი (№№ 1-4).

0905 სამარხი თხრილის ჩრდილო კიდეგან გამოვლინდა. იგი წარმოადგენს კოლექტიურ სამარხს, რომელშიც ერთმანეთის გვერდით ორი მიცვალებული იყო



0905 სამარხი – (402), (403+406), [404]

ჩასვენებული. ორივე მათგანი დასაღმ. დამხრობით, თავით დასავლეთისაკენ. ჩრდილოეთით მდებარე ჩონჩხი (406) უკეთ არის შემონახული ვიდრე მის სამხრეთით ჩასვენებული მიცვალებულის ჩონჩხი (403). თუმცა ორივე მათგანის ძვლები ძლიერ არის არეული. განსაკუთრებით კი (403)-ე

ჩონჩხის, რომლის უმეტესი ნაწილი (ფეხები სრულად და თითქმის მთელი ტანი – ნეკნები, ხერხემალი და მარჯვენა ხელი) წაკვეთილია მოგვიანო პერიოდის დაუდგენელი ფუნქციის ჭრილით [405], რომელიც 0905 სამარხს დიაგონალურად კვეთს და (406)-ე ჩონჩხის ტერფებიც ამ ჭრილის მიერ არის წაკვეთილი. სავარაუდოდ ორივე მიცვალებული 10 წლამდე ასაკის ბავშვს უნდა მიეკუთვნებოდეს. სამარხის ჭრილის [404] ზომებია: სიგრძე – 1 მ; სიგანე – 45 სმ. სამარხის ნაყარში (402) ჩრდილოეთით მდებარე ჩონჩხის (406) თავის ქალის ადების შემდეგ მის ქვემოთ აღმოჩნდა ბრინჯაოს საყურის ფრაგმენტი [B3]. ჭრილი გარშემო ქვებით შემოსაზღვრული არ ყოფილა.

პალეობოტანიკური და პალინოლოგიური ანლიზებისთვის 0905 სამარხიდან აღებული იქნა 9 სინჯი (№№ 6, 8-12, 13-16).

0906 სამარხი თხრილის სამხრეთ კიდეგან გამოვლინდა. მიცვალებული



0906 სამარხი – (407), (408), [409]

(408) ესვენა დას-აღმ მიმართულებით, თავით დასავლეთისაკენ, გულაღმა გაშოტილ მდგომარეობაში, სავარაუდოდ ხელები დასვენებული უნდა ჰქონოდა მკერდზე ჯვარედინად, თუმცა მიცვალებულის მარცხენა ხელი სრულად თხრილის გარეთ გადის და სრულად არ იკითხება. ჩონჩხი სავარაუდოდ ეკუთვნოდა 6-7 წლის ბავშვს. სამარხის ნაყარში (407) თავის

ქალიდან 7 სმ-ში აღმოჩნდა მინით და ბრინჯაოთი შესრულებული საყურის ფრაგმენტი [B5]. სამარხის ჭრილის [409] ზომებია: სიგრძე – 1 მ; სიგანე 35 სმ. ჭრილი გარშემო ქვებით შემოსაზღვრული არ ყოფილა.

პალეობოტანიკური და პალინოლოგიური ანლიზებისთვის 0906 სამარხიდან აღებული იქნა 6 სინჯი (№№ 13, 18-22).

0907 სამარხი თხრილის ცენტრალურ მონაკვეთში მდებარეობს.

მიცვალებული (411) ესვენა დას-აღმ მიმართულებით, თავით დასავლეთისაკენ, გულაღმა გაშოტილ მდგომარეობაში, სავარაუდოდ ხელები დასვენებული უნდა ჰქონოდა მკერდზე ჯვარედინად, თუმცა ხელების ძვლები და ნეკნები ერთმანეთშია არეულია და დაზუსტებით ამის თქმა ჭირს. მიცვალებული

სავარაუდოდ ეკუთვნოდა ზრდასრულ ადამიანს. ამის თქმის საფუძველს



0907 სამარხი – (410), (41), [412]

გვაძლევს როგორც ჩონჩხის საერთო სიგრძე (1. 60 მ), ისე ცალკეული ძვლების სისქე. სამარხის ნაყარში (410) რაიმე სახის არქეოლოგიური მასალა (თუნდაც შემთხვევითი) არ გამოვლენილა. სამარხის ჭრილის [412] ზომებია: სიგრძე – 1.70 მ; სიგანე – 46 სმ. ჭრილი გარშემო ქვებით შემოსაზღვრული არ ყოფილა.

პალეობოტანიკური და პალინოლოგიური ანალიზებისთვის 0906 სამარხიდან აღებული იქნა 5 სინჯი (№№ 17, 23-26).

აღსანიშნავია, რომ 0905, 0906 და 0907 სამარხები ერთ ხაზზე განლაგებული ანუ ყველა მათგანის თავის ქალა თითქმის ერთ ჩრდილო-სამხრეთის ხაზზე მდებარეობს, ასევე საინტერესოა, რომ მათი უმეტესობა დაახლოების ერთი ასაკის ბავშვებს ეკუთვნის, რაც ბადებს ეჭვს, რომ ამ მიცვალებულების დაკრძალვა ერთდროულად უნდა მომხდარიყო. ასევე საგულისხმოა ერთი ფაქტორიც, - თუ დავუშვებთ, რომ აღნიშნული ტერიტორია მართლაც “ეპიდემიურ სამაროვანს” წარმოადგენს, სადაც დაახ. 25 მ² ტერიტორიაზე დაკრძალული იყო 35-მდე მიცვალებული, შესაძლოა დავუშვათ, რომ ამ ეპიდემიის შედეგად პირველ ეტაპზე სწორედ ბავშვები დაიღუპნენ, რის გამოც მათი სამარხები შედარებით ქვედა დონეზე აღმოჩნდა ვიდრე სხვა ზოგადად იმავე პერიოდის (IV-VI სს) სამარხები.

2005 წლის სეზონზე B თხრილზე წარმოებული სამუშაოების დროს, გამოვლინდა თიხის დამწვარი ბათქაშის “ფენა” (340), რომელიც თხრილის ცენტრალურ მონაკვეთზე ვრცელდებოდა. საანგარიშო წელს მოხდა მისი სრული პრეპარირება და შესწავლა. ეს “ფენა” წარმოადგენს გეგმაში L-ის ფორმის საკმაოდ სქელ (25 სმ) დანალექს, რომელიც წარმოდგენილი იყო დამწვარი თიხის ნაფხვენით და ბათქაშების ფრაგმენტებით (ზომები: min: 4-7 სმ; max: 12-18 სმ). აღნიშნულ დანალექს ფენაში გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის (აღრე შუა საუკუნეების, ელინისტური, აგრე ანტიკური) ხანის კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ ეს ფენა in situ

მდგომარეობაში არ დაგვხვედრია. საფიქრებელია რომ ეს თხრილის ჩრდილოეთ მხარეს მდებარე ფერდობიდან ჩამოცურებულ ფენის ნაწილს წარმოადგენს. მით



დამწვარი თიხის ბათქაშის ფენა (340)

უმეტეს, რომ 2005 წლის სეზონზე თხრილის უკიდურეს ჩრდილოეთ კიდეზე გამოვლინდა ელინისტური ნაგებობის ნაშთი და თანამდევ კულტურული ფენა. ნოქალაქევის ნაქალაქარზე გამოვლენილ ელინისტური ხანის თითქმის ყველა ნაგებობასთან აღმოჩენილია თიხის ბათქაშის ნაშთები,

რომლებიც ამ ნაგებობების ხის კედლების შესაფასად იყო გამოყენებული და მათი დანგრევის შემდეგ ნაგებობის ირგვლივ დარჩა მიმოფანტული. შესაბამისად (340)-ე ფენაც სწორედ მისგან ჩრდილოეთით დაახ. 15 მეტრში გამოვლენილი ნაგებობის კედლების ნაღესს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც დროთა განმავლობაში ფერდობზე ჩამოცურდა და B თხრილის სამხრეთ მონაკვეთში ერთ ადგილას დაილექა, იქ სადაც ფერდობი სრულდება და მოსწორებული ადგილია.

(340)-ე ფენის აღების შემდეგ მის ქვემოთ აღმოჩნდა კიდევ ერთი ფენა, რომელიც საგარაუდოდ 2005 წელს გამოვლენილი (303)-ე ქრისტიანული სამაროვანის ფენის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს, სწორედ ამ ფენაში აღმოჩნდა 0905, 0906 და 0907 სამარხები და ასევე ის ორი სამარხი, რომლებიც მომავალ სეზონზე უნდა გაიხსნას. საინტერესოა, რომ ამ ფენის პრეპარაციის დროს აღმოჩნდა პალეოლითური ქვის ხელცული [B2], რომელიც რა თქმა უნდა ამ ფენაში შემთხვევით აღმოჩნდა, ამ ფენაში გამოვლენილი სხვა არქეოლოგიური მასალის აბსოლუტური უმეტესობა IV-VI სს-ით თარიღდება და წარმოდგენილი სამზრეულო და სამეურნეო დანიშნულების კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტებით (ქოთნები, ქვევრები, დერგები, დოქები და სხვ.)



B თხრილი ცელოფნით დახურვის შემდეგ

არქეოლოგიური სამუშაოების დასრულების შემდეგ მოხდა B თხრილის გენერალური ნახაზის გაკეთება, ფოტოგრაფირება და შემდგომ მისი ცელოფნის საფარით დახურვა.

A და B თხრილზე გამოვლენილი მასალის მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა მომდინარეა A და B თხრილებიდან. აქვეა დაფიქსირებული 7 ორმოსამარხიც.

აქედან სამი A თხრილში და ოთხი B თხრილში.

A თხრილის სამარხები:

სამარხი №1. მიცვალებული დაკრძალული იყო მიწაზე, მარჯვენა გვერდზე, სუსტად მოხრილ მდგომარეობაში. დამხრობა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ.

ინვენტარი: 1. ბრინჯაოს სამი სამაჯური, სუსტად ზურგშეზნექილი, ბოლოები რაღაც ცხოველის თავის სქემატური გამოსახულებით შემკული. დრუნჩი-ჩამოჭრილი. 2. საყურე რგოლი, ბრინჯაოსი, ბრტყელგანიკვეთიანი. 3. მძივები – ოქროდაფენილი, წვრილი; წითელი – ნახევრადპირფასი ქვის და შავი, თეთრი მასის ინკრუსტაციით – ბევრი. 4. დოქი, მოყვითალო-ჩალისფრად, არათანაბრად გამომწვარი. თიხა კარგად განლექილი, სამეთუნეო მორგვზე გაკეთებული. პატარა ზომის, ვიწროყელიანი, სამტუჩა. კარგად გამოძერწილი ბრტყელგანიკვეთიანი ყური პირის გაგრძელებას წარმოადგენს, ბოლო-მუცლის ზედა ნაწილზე მთავრდება. აქვს პატარა და ბრტყელი ძირი. ყელისა და მხარის ზედა ნაწილი კლაკნილი ხაზებით შექმნილი სარტყელითაა შემკული.

სამარხი №2. სამარხი შემოსაზღვრული იყო კლდის ფლეთილი ქვებით. დამხრობა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ჩონჩხი-არეული.

ინვენტარი: 1. სამაჯური ბრინჯაოსი 2ც., გრეხილდეროიანი, ბოლო გველისთავის გამოსახულებით. 2. საყურე რგოლი 2ც., მრგვალგანიკვეთიანი ღეროსი. 3. ნივთის ფრაგმენტი – ბრინჯაოს წვრილი ღერო. 4. მძივები, წვრილი ოქროფენილი, თეთრი მინის გამჭვირვალე იოტები, რამოდენიმე შავი ფერის, თეთრი მასის ინკრუსტაციით. 5. ქოთანის, ყავისფრად გამომწვარი. შედარებით კარგად განლექილი. პირფართო. კორპუსი თანაბრად გამობერილი. სწორი ძირით.

სამარხი №4. მიცვალებული დაკრძალული ყოფილა მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოკრუნინხულ მდგომარეობაში სამარხი შემოსაზღვრულია ნაწილობრივ რიყისა და კლდის ფლეთილი ქვებით. დამხრობა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

უინვენტარო.

B თხრილის სამარხები:

სამარხი №3. მიცვალებული გაშობილი, გულადმა.

უინვენტარო.

სამარხი №5 – 2 ჩონჩხით.

უინვენტარო.

სამარხი №6. ერთაერთი ნივთი. ბრინჯაოს პატარა, მრგვალი საკიდი, მინის, მომწვანო ფერის ბურთულით დამთავრებული.

სამარხი №7.

უინვენტარო.

მიმოხილვა

სამაჯურები. რკალშეზნეკილი სამაჯურები ძირითადად ელინისტური ხანისთვისაა დამახასიათებელი. უძველესს სამაჯურებს IV-ბოლო და III დასაწყისი, რკალი უფრო სუსტად აქვს შეზნეკილი. თავები უფრო დატვირთულია ორნამენტით. მოგვიანებით, ზნეკილობა მცირდება და ბოლოს სწორდება კიდეც. განსხვავება ჩნდება დაბოლოებებშიც. გამოსახულება ისე მკვეთრი აღარაა, ზოგჯერ კი ღერო უბრალოდ ოთხკუთხაგანიკვეთით მსხვილდება, ხანდახან უდგეკოროდაც, ბოლოები კი უბრალოდ ჩამოჭრილია.

საყურე: ორი ტიპისაა, მრგვალი და ბრტყელგანიკვეთიანი ღეროსაგან დამზადებული ეს უკანასკნელი ჩვენთან უფრო იშვიათია. საყურე ელინისტური ხანის სამარხთა ინვენტარში თითქმის აუცილებელი ატრიბუტია. საყურე – რგოლები, რომლებიც მთელ ანტიკურ სამყაროში ძალზე გავრცელებულია. იგი წარმოადგენს ბრინჯაოს ან ვეცხლის მრგვალ ან ბრტყელგანიკვეთიან რგოლს, უმეტესად თავგახსნილია. ამ მარტივი საყურე-რგოლების გარდა ჩნდება მძივგაყრილი საყურე-რგოლები. ზოგჯერ, მაგრამ ჩვენ სინამდვილეში – რომბისებული საკიდით.

მძივები: საერთოდ, როგორც წესი, დაფიქსირებულია ელინისტური ხანის ნსამარხებში. სხვაობა მხოლოდ მასლაშია. მძივები საერთოდ სამ ჯგუფად ნაწილდება: ქვის – სერდოლიკი და ოპალი, მინის და ბრინჯაოსი. ამ დროისათვის კი უფრო გავრცელებული ჩანს მინის, მინისებური პასტის და ინკუსტრირებული სხვადასხვა კონფიგურაციის თეთრი ჩანართებით.

ოქროფენილი მძივები კოლხეთში ძვ.წ. III საუკუნეში ჩნდება. ამ დროისათვის უფრო დამახასიათებელი ჩანს ნაკლებ ეფექტური მძივები, როგორებიცაა ჩვენ სამარხებში.

კერამიკა: სულ თითო-თითოა დაფიქსირებული ორივე სამარხში.

დოქი. ამ დროის დასავლეთ საქართველოს ძეგლებიდან დოქებს სამ ჯგუფად პყოფენ:

1. ჭურჭელი, რომელიც წინარეელინისტური ხანის ტრადიციებს აგრძელებს.
2. ჭურჭელი, რომელთა ფორმები ბერძნული კერამიკის გავლენითაა ჩამოყალიბებული.
3. დოქები, რომლებიც იმ ჯგუფს მიეკუთვნებიან, რომლებიც აღმოსავლურ-ქართული სამყაროს გავლენას უკავშირდება.

საერთოდ, სამტუნა დოქებს – ბერძნული წარმოშობის დოქებს ამსგავსებდნენ, თუმცა მათი მსგავსება ვიზუალურია, ფუნქცია კი განსხვავებული.

დოქები, შიდა კოლხეთში მხოლოდ ძვ.წ. III საუკუნეში ჩნდება. არის აზრი, რომ ისინი აღმოსავლური სამყაროდან მომდინარეობს. იშვიათია წითელკეციანი დოქები, როგორც შარშან აღმოჩნდა ერთ-ერთ სამარხში.

აღმოსავლეთ საქართველოში კი ასეთი ტიპის დოქების აღმოჩენას ქვეყნის ელინიზაციას უკავშირებენ. ისინი ძვ.წ. VI საუკუნიდან ჩნდებიან და შემდგომ ხანაშიც განაგრძობენ არსებობას. ჭურჭლის პირის ასეთი ფორმა დამახასიათებელი ყოფილა ურარტული კერამიკისთვისაც, რომლებიც როგორც ირკვევა, გენეტიკურად უკავშირდება კიდევ აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილ ანალოგიურ ჭურჭლებს.

ქოთანი, რომელიც №2 სამარხშია აღმოჩენილი. კეცის, ფერისა და მოყვანილობით უდავოდ ელინისტური ხანის კოლხური სამზარეულო დანიშნულების ჭურჭლის სახეობაა. ოღონდ შედარებით კარგად გამოძერწილი.

ელინისტური ხანის ორმოსამარხები საერთოდ მცირე ინვენტარის შემცველია. განსახილველი მასალა – ღარიბულია. ამიტომ განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა სამარხის ფორმას, ნაწილობრივ – დამხრობის, რადგან ის ყოველთვის არ არის ზუსტი. რადგან ხშირად რელიეფის გამოც შეიცვალოს დამხრობა და მიცვალებულის დაკრძალვის ფორმაც.

ჩვენ შემთხვევაში ამისი მაგალითია სამარხი №4, რომელშიც მიცვალებული დაკრძალულია ძლიერ მოკრუნჩხული.

საერთოდ დადგენილია, რომ ელინისტური ხანის სამარხთა დამხრობა ძირითადად აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენაა მიმართული. რა თქმა უნდა არის გამონაკლისებიც, მაგრამ დაცულია მიცვალებულის დაკრძალვის ფორმა. ძვ.წ. IV-III სს. ორმოსამარხებში მიცვალებული დაკრძალულია ძლიერ მოკრუნხულად, შემდგომ ეტაჟზე კი – მცირედ მოხრილი. განსხვავებაა აგრეთვე ქალისა და მამაკაცის დამხრობაშიც და თავის ანუ პირისახის მიმართულებაშიც.

ესეთი მდგომარეობა ტიპურია ძვ.წ. IV-III საუკუნეებისთვის, მაგრამ ამ დროის სამარხებში უფრო მეტია ინვენტარი. ეს რიტუალი განსაზღვრავს რელიგიას და მის ყველაზე კონსერვატიულ ნაწილს წარმოადგენს. დაკრძალვის ფორმაში გასათვალისწინებელია. მიცვალებულს სქესიც, სოციალები მდგომარეობა და თვით გარდაცვალების ხასიათიც კი. ამის კარგი მაგალითია ნოქალაქევეში აღმოჩენილი ბევრი ადამიანის სამარხები, რასაც გამოთხრელებმა „ეპიდემიურად“ უწოდეს. აღსანიშნავია აგრეთვე ნოქალაქევის ორმოსამარხები ხშირ შემთხვევაში კლდის ფლეთილი ქვებითაა შემოსაზღვრული და თანაც რაც დრო გადის ამ ფორმის სამარხების რაოდენობა იზრდება, თანაც მთელი სამაროვნის თითქმის ყველა ნაწილში, ოღონდ არა მიჯრით.

საერთოდ ნოქალაქევის ზოგადად ელინისტური ხანის მანძილზე რამდენიმე სამარხთა ტიპია გამოვლენილი. რაც სხვა ძეგლებზე არა არის. ვფიქრობთ, ეს თემა მეტი ყურადღების საგანი უნდა გახდეს.

თხრილში აღმოჩენილი №3, №5, №6, №7 სამარხები ადრექრისტიანული უნდა იყოს. ძირითადად განმსაზღვრელი ფაქტორია სამარხისა და მიცვალებულის პოზა და ინვენტარი. დამხრობა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, მიცვალებული ასვენია გაშოტილ მდგომარეობაში, ინვენტარის გარეშე ან თითო-ოროლა ნივთის თანხლებით. მხედველობაში თუ მივიღებთ რამდენიმე კერამიკის ფრაგმენტს და ერთ საკიდს. პატარა ზომის ბრინჯაოს რგოლის და მასზე მიმაგრებული ღია მწვანე ფერის მინის ბურთულას.

ამ უბანზე, გამოთხრელების მონაცემებით, ადრეც იყო ქრისტიანული სამარხები აღმოცენილი. ეს უბანი ფერდობის ძირში მდებარეობს და მასალის დიდი ნაწილი ალბათ ჩამოცურებული უნდა იყოს ზემოდან მათ შორის ადრეული ქვის ხელცულიც.

საინტერესოა მინის ჭურჭლის ერთი ფრაგმენტი. მწვანე ფერის, ნაკლებად გამჭვირვალე, ბუმბუკების გარეშე, მცირე ზომის, მცირედ მომრგვალებული, ჭურჭლის გვერდს უნდა წარმოადგენდეს. ზედაპირი თითქოს ფაცეტებითაა შემკული, შემორჩენილია სამი. შთაბეჭდილებაა თითქოს ეს “ფაცეტები” გამოყოფილია რელიეფური დანაძერწი ხაზები ნაწილია რაღაც გეომეტრიული “ნახაზის”.

ამდგავარი, რელიეფურწიბოიანი გეომეტრიული ჭურჭლის ფრაგმენტი მომდინარეა შავიზღვისპირეთიდან. იგი იქ რომაული ხანის ევროპის ქვეყნებიდან ან აღმოსავლეთიდან შემოსულად ითვლება. დას. საქართველოში “ფაცეტებიანი” მინის ჭურჭელი VI-VIII სს-შია გავრცელებული.

ამ ფენაში სხვადასხვა ფერის ლაკიანი ჭურჭლის სულ სამი ფრაგმენტია დაფიქსირებული. ერთი თეფშის მცირე ფრაგმენტი, კარგად განლექილი თხელკედლა ჭურჭლის ქუსლის ნაწილია. დაფარულია მქრალი წითელი ლაკით, რომელიც ძალზე დამახასიათებელია ადგილობრივი რომაული მინაბაძებისთვის.

ფიალის ფრაგმენტი ორმხრივ ყავისფერ ლაკიანი. შუა ნაწილზე შეიმჩნევა პატარა ზომის პალმეტები. ლაკი მკრთალია. პერგამონული ნაწარმის მინაბაძს ფგავს.

მესამე ფრაგმენტი ძალზე მცირე ზომისაა და პატარა ჭურჭლის ქუსლისა და გვერდის ნაწილია. ძალიან წმინდად განლექილი თიხა, მაღალი ხარისხის ნაწარმია. ორივე მხრიდან მბრწყინავი შავი ლაკით დაფარული. აშკარად ატიკური ნაწარმია.

მიმდინარე სეზონზე A თხრილში ადგილ-ადგილ (თხრილის ჩრდილო და დასავლეთ სექტორებში) ელინისტური ხანის სამარხების გამოვლენის პარალელურად ვლინდება ადრე ანტიკური ხანის კულტურული ფენებიც.

კოლხეთში ძნელად მოიპოვება ამ პერიოდის ძეგლი, სადაც არ იყოს წარმოდგენილი კოლხური ქვევრი. ჩვენ მასალაშიც საკმაოდ არის კოლხური ქვევრის ფრაგმენტები. იგი ძირითადად რთულპროფილიანია, გვირგვინი “რომბული” ორნამენტითაა შემკული ან ყელსა და ყურის ნაწილზე წრიული რელიეფური დანაძერწები აქვს.

აღნიშნულ ფენიდან ასევე წარმოდგენილია დერგის ფრაგმენტები.

ამ პერიოდისთვის ასევე დამახასიათებელია ფენაში საწურის არსებობა. ჩვენი ნიმუში ლეგადაა გამომწვარი, შემორჩენილია რამოდენიმე გამჭოლი

ნახერეტიც. ამავე ფენაშია გამოვლენილი ყურმილიანი დოქის მცირე ფრაგმენტიც. ჩვენი აზრით ეს ნიმუში თავის კეცით და შესრულებით, ასევე თავის ძალზე პატარა ზომით, შეიძლება ადრე ელინისტურიც იყოს. რადგანაც, კოლხეთის მასალაში ასეთი ნიმუშები არსებობს და ხანდახან ისინი სამარხებშიცაა დაფიქსირებული.

ქანდაკების ფრაგმენტი, შავად გამომწვარი, ფორებიანი და მსხვილმარცვლოვანი კეცით, წარმოადგენს რაღაც ცხოველის (სავარაუდოდ ხარის) კარგად გამოძერწილ რქის ფრაგმენტს.

ჩვენ შევეხეთ ჭურჭლის სულ რამდენიმე სახეობას. დანარჩენი კერამიკა სამზარეულო ჭურჭლის ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი – პატარა ფიალა-ჯამები, სხვადასხვა ზომის და სახეობის ქოთნები, მოზრდილი ჯამები, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ძირითადად ოვალურ განიგვეთიანი ან მცირედ დაბტყელებული, ყურის ფრაგმენტები, როგორც ჰორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად მიძერწილი. გარდა ამისა, აღნიშნულ ფენაში აღმოჩნდა რამოდენიმე ლითონის ნივთის ფრაგმენტი. ზოგი მათგანის დანიშნულება გაურკვეველია.

არის აგრეთვე კვირისტავიც, რომელიც შეიძლება უფრო გვიანდელიც იყოს.

ამავე ფენაში წინა წლებთან შედარებით ბევრად მეტად არის წარმოდგენილი ფეხიანი სასმისების ნატეხები.

ნოქალაქების სარესტავრაციო-საკონსერვაციო ლაბორატორიაში 2008 წლის ზაფხულში მიმდინარე პროექტები


შინაარსი:

1. ქართულ-ინგლისური ექსპედიციის მიერ 2009 წლის სეზონზე აღმოჩენილი მასალის რესტავრაცია-კონსერვაცია
 - 1.1 კერამიკა
 - 1.2 ლითონი
 - 1.3 მინა და ძვა
 - 1.4 დანართი
2. ნოქალაქების არქეოლოგიური მუზეუმის ფონდებში დაცული 15 არქეოლოგიური მოპოვებული ობიექტის საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები

1. ქართულ-ინგლისური საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2009 წლის სეზონზე აღმოჩენილი მასალის კონსერვაცია-რესტავრაცია

მიმდინარე პროექტის ხელმძღვანელი : ი.მ.დ. – ნ.ქებულაძე
ასისტენტები : მ.მჭედლიშვილი, ნ.ძიგუა

ნოქალაქების ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2009 წლის სეზონზე სატრენინგო სამუშაოები ორ **A** და **B** თხრილზე მიმდინარეობდა. ძირითადად წინა წელს აღმოჩენილი ელინისტური პერიოდის



ნაგებობების გაწმენდა და ჩახაზვა წარმოებდა. სამუშაოების დროს ფენებიდან და ექვსი სამარხიდან მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ძირითადი ნაწილი ნოქალაქების ბაზაზე არსებულ

საველე-საკონსერვაციო ლაბორატორიაში



იქნა დამუშავებული.

აღმოჩენების დამუშავებისას გამოიყენებოდა თანამედროვე მსოფლიო სარესტავრაციო პრაქტიკაში არსებული მეთოდები და მასალები.

1.1. კერამიკა

კერამიკული მასალის ძირითადი ნაწილი ადგილზევე იქნა გაწმენდილი. კარგად გამშრალი მასალა ჩალაგებულ იქნა სუფთა, ეტიკეტირებულ ტოპრაკებში და განლაგებული თაროებზე. მოპოვებულ მასალაში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილია თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და სამშენებლო მასალა, რომელმაც ასევე მხოლოდ ფრაგმენტული სახით მოაღწია ჩვენამდე.

ფრაგმენტები სხვადასხვა ფერის არის, რაც თიხის ხარისხსა და გამოწვის ხასიათსა და ტემპერატურაზეა დამოკიდებული. ძირითადად არის ბაცი ყავისფერი, წითელი ან შავი ფრაგმენტები. განსხვავებულია წარმოდგენილი კერამიკული მასალის სისქეც.

კერამიკის ფრაგმენტები კონტექსტების მიხედვით მთლიანად იშლებოდა, ხარისხდებოდა და ერთი ჭურჭლის ფრაგმენტების მოძიების შემთხვევაში ხდებოდა მათი შეწყობა. ფენიდან ამოსული რამოდენიმე ნიმუში :



კერამიკული მასალის ნაწილით (ასობით ერთეული), ადამიანის ძვლოვან მასალასთან ერთად (6 ჩონჩხის ძვლები), რომელიც ნოქალაქევივე იქნა გარეცხილი, გამშრალი, გადარჩეული და გატარებული, შეივსო ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმის ფონდი.

დანარჩენი კერამიკული მასალა (500 ერთეულამდე) სხვა განათხარ - ლითონის, მინის და სხვა ნივთებთან ერთად, ნოქალაქევის ლაბორატორიაში რესტავრაცია-კონსერვაციის შემდეგ ტრანსპორტირებულ იქნა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს.ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ნოქალაქევის ფონდში.



სამარხეული ჭურჭელი პალინოლოგიური ანალიზისათვის გადაეცა ქ-ნ ეყვავაძეს. მათი შემდგომი დამუშავება-რესტავრაცია მოხდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნოქალაქევის ფონდში.

ამ ტიპის მასალის რესტავრაციის მსვლელობა ცალკეა გამოყოფილი :

1. ნივთის დასახელება: **პარღულაპირიანი (?) ჭურჭელი**

2. მასალა: თიხა

3. ნივთის შენახვის ადგილი და

საინვენტარო ნომერი:

ს.ჯანაშიას სახ. მუზეუმი, ჭაქვინჯა-გუდავა-
ნოქალაქევის ფონდი. საველე №14

4. მოპოვების ადგილი და თარიღი:

სენაკის რ-ნი, სოფ. ნოქალაქევი,

თხრილი A, უბ. XXX, კონ. №260, სამარხი 0901

2009წ., ივლისი



ჭურჭელი in-situ

5. ნივთის დაცულობა და აღწერილობა:

ჭურჭელი იყო დამტვრეული (44ც. ფრაგმენტი). დაფარული იყო მიწითა და სხვადასხვა ნაღებით. თიხა აგურისფრად გამომწვარი.

6. ნივთზე ჩატარებული სამუშაო:

ჭურჭლის ფრაგმენტები მოვათავსეთ გამოხდილ წყალში და რბილი



ლოძი რუსთავერაციამდე ჯაგრისის საშუალებით გაწმინდეთ. პერიოდულად წყალს ვცვლიდით. დასასრულ გავაშრეთ ოთახის ტემპერატურაზე.

ჭურჭლის აღდგენა მოვახდინე პოლივინილ-აცეტატის წებოთი. ნაკლები ადგილები შევავსე მშრალი პიგმენტით შესაბამის ფერზე დასმული თაბაშირით. ჭურჭლის პირი ბოლომდე არ აღვადგინეთ, ვინაიდან ფორმები არ ჩანს.



ლოძი რუსთავერაციის შემდეგ

გამოყენებული მასალა: 1. გამოხდილი წყალი; 2. პოლივინილაცეტატი; 3. თაბაშირი.

7. დამატებითი ინფორმაცია

აღნიშნული ქოთანის 2009წლის 16 ივლისს გადაეცა ქ-ნ ელისო ეყვავაძეს პალინოლოგიური ანალიზისათვის. ანალიზებისათვის აღებული სინჯების ჩამონათვალში იგი №25 -ით არის განთავსებული.

1. ნივთის დასახელება: **ქოთანო**

2. მასალა: თიხა

3. ნივთის შენახვის ადგილი და

საინვენტარო ნომერი:

ს.ჯანაშიას სახ. მუზეუმი,

ნოქალაქევის ფონდი.

საველე № 9

4. მოპოვების ადგილი და თარიღი:

სენაკის რ-ნი, სოფ. ნოქალაქევი,

თხრილი A, უბ. XXX, სამარხი №0901, კონტექსტი №254,

2009 წელი, ივლისი



ქოთანო in-situ



5. ნივთის დაცულობა და აღწერილობა:

ქოთანო დამტკიცებულია (3ც. ფრაგმენტი). აქვს ბევრი ბზარები. დაფარულია მიწითა და სხვადასხვა ნადებით. თიხა ძალიან შლადია, აგურისფრად გამომწვარი.

6. ნივთზე ჩატარებული სამუშაო:

ქოთანის ფრაგმენტები მოვათავსე გამოხდილ წყალში და რბილი ჯაგრისის საშუალებით გავწმინდე. წყალში გაწმენდისას ქოთანო დაიშალა რამოდენიმე ფრაგმენტად. პერიოდულად წყალს ვცვლიდით. დასასრულ გავაშრეთ ოთახის ტემპერატურაზე.

ქოთანის აღდგენა მოვახდინე პოლივინილ-აცეტატის წებოთი. ნაკლები ადგილი შევავსე მშრალი პიგმენტით შეფერილი თაბაშირით.

გამოყენებული მასალა:

1. გამოხდილი წყალი; 2. პოლივინილაცეტატი; 3. თაბაშირი.

7. დამატებითი ინფორმაცია

აღნიშნული ქოთანო 2009 წლის 16 ივლისს გადაეცა ქ-ნ ელისო ყვავაძეს პალინოლოგიური ანალიზისათვის. ანალიზებისათვის აღებული სინჯების ჩამონათვალში იგი №39-ით არის განთავსებული.



ქოთანო რუსთაველის უბანში

1. ნივთის დასახელება: **ჭურჭლის ძირი**

2. მასალა: თიხა

3. ნივთის შენახვის ადგილი და

საინვენტარო ნომერი:

ს.ჯანაშიას სახ. მუზეუმი,

ნოქალაქევის ფონდი.

4. მოპოვების ადგილი და თარიღი:

სენაკის რ-ნი, სოფ. ნოქალაქევი,

თხრილი A, უბ. XXX, სამარხი №0804, კონტექსტი №252,

2009 წელი, 13 ივლისი



სასმისის ძირი in-situ



სასმისის ძირი რესტავრაციამდე

5. ნივთის დაცულობა და აღწერილობა:

სასმისის ძირი დამტვრეულია (3ც. ფრაგმენტი). დაფარული მიწითა და სხვადასხვა ნადებით. თიხა ჩალისფრად გამომწვარი.

6. ნივთზე ჩატარებული სამუშაო:

ქოთნის ფრაგმენტები მოვათავსეთ გამოსდილ წყალში და რბილი ჯაგრისის საშუალებით გაავწინდეთ. პერიოდულად წყალს ვცვლიდით. დასასრულ გავაშრეთ ოთახის ტემპერატურაზე.

ძირის აღდგენა მოვახდინეთ

პოლივინილაცეტატის წებოთი.



სასმისის ძირი რესტავრაციის შემდეგ

გამოყენებული მასალა:

1. გამოსდილი წყალი,
2. პოლივინილაცეტატი,

7. დამატებითი ინფორმაცია

აღნიშნული ფრაგმენტები 2009 წლის 16 ივლისს გადაეცა ქ-ნ ელისო ყვავაძეს პალინოლოგიური ანალიზისათვის. ანალიზებისათვის აღებული სინჯების ჩამონათვალში იგი №14-ით არის განთავსებული.

1. ნივთის დასახელება: **კათხისეპური სასმისი**

2. მასალა: თიხა

3. ნივთის შენახვის ადგილი და საინვენტარო ნომერი:

ს.ჯანაშიას სახ. მუზეუმი,

ნოქალაქევის ფონდი.

4. მოპოვების ადგილი და თარიღი:

სენაკის რ-ნი, სოფ. ნოქალაქევი,

კვ. F2, თხრილი A, უბ. XXX, კონტექსტი

№235,

2009 წელი, ივლისი



5. ნივთის დაცულობა და აღწერილობა

სასმისის ძირი რესტავრაციამდე:

სასმისის ფრაგმენტები მოინახა ფენის მასალაში (2ც. ფრაგმენტი). ნატეხები დაფარული მიწითა და სხვადასხვა ნადებით. თიხა მოყავისფროდ გამომწვარი.

6. ნივთზე ჩატარებული სამუშაო:

სასმისის ფრაგმენტები მოვათავსეთ გამოხდილ წყალში და რბილი ჯაგრისის საშუალებით გავწმინდეთ. პერიოდულად წყალს ვცვლიდით. დასასრულ გავაშრეთ ოთახის ტემპერატურაზე.



ძირის აღდგენა მოვახდინეთ პოლივინილაცეტატის წებოთი.

სასმისის ძირი რესტავრაციის შემდეგ

ფრაგმენტების გადაბმასთან ნაკლები კუთხეები სიმაგრისთვის შევავსე მშრალი პიგმენტით შეფერილი თაბაშირით.

გამოყენებული მასალა:

3. გამოხდილი წყალი,

4. პოლივინილაცეტატი,

1. ნივთის დასახელება: **უმნიანი სასმისი**

2. მასალა: თიხა

3. ნივთის შენახვის ადგილი და

საინვენტარო ნომერი:

ს.ჯანაშიას სახ. მუზეუმი,

ნოქალაქევის ფონდი.

4. მოპოვების ადგილი და თარიღი:

სენაკის რ-ნი, სოფ. ნოქალაქევი,

კვ. F2, თხრილი A, უბ. XXX, სამარხი კონტექსტი №235,

2009 წელი, ივლისი



სასმისის ძირი in-situ



სასმისის ძირი რუსთავერაციაში

5. ნივთის დაცულობა და აღწერილობა:

სასმისის ფრაგმენტები მოინახა ფენიდან ამოსულ მასალაში (4ც. ფრაგმენტი). ნატეხები დაფარული მიწითა და სხვადასხვა ნაღებით. თიხა რუხად გამომწვარი. სხვადასხვა ნაღებით.

6. ნივთზე ჩატარებული სამუშაო:

სასმისის ფრაგმენტები მოვათავსეთ

გამოხდილ წყალში და რბილი ჯაგრისის საშუალებით გავწმინდეთ. პერიოდულად წყალს ვცვლიდით. დასასრულ გავაშრეთ ოთახის ტემპერატურაზე.

სასმისის აღდგენა მოვახდინეთ პოლივინილაცეტატის წებოთი. ფრაგმენტების გადაბმასთან ნაკლული კუთხეები სიმაგრისთვის შევავსე მშრალი პიგმენტით შეფერილი თაბაშირით.



სასმისის ძირი რუსთავერაციის შემდეგ

გამოყენებული მასალა:

1. გამოხდილი წყალი, 2. პოლივინილაცეტატი,

7. დამატებითი ინფორმაცია

აღნიშნული სასმისის ძირი, 2009 წლის 16 ივლისს გადაეცა ქ-ნ ელისო ყვავაძეს პალინოლოგიური ანალიზისათვის. ანალიზებისათვის აღებული სინჯების ჩამონათვალში იგი №14-ით არის განთავსებული.

1.2. ლითონი

2009 წლის არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული ლითონის მასალაში წარმოდგენილია ბრინჯაოს არტეფაქტები. ბრინჯაო დაფარული იყო მიწით, სხვადასხვა მექანიკური ნადებითა და პატინით. ამდენად საჭირო იყო ამ მასალის დამუშავება და შემდგომი კონსერვაცია. ძირითადად, ყველა ნივთი გაიწმინდა მექანიკური წმენდის მეთოდებით.

ბოლოს კონსერვირებული ნივთები შეფუთულ და მოთავსებულ იქნა სპეციალურ ყუთში, შესაბამის ფარდობით ტენიანობაზე, რომლის კონტროლიც სილიკაგელისა და ინდიკატორული ბარათის დახმარებით ხორციელდებოდა.

